დღეს ნომერში:

- კიდევ ერთი ახალი დიდოსტატი — 1-ლი გვ.
- პირველი ქართული წიგნი ჭადრაკზე — მე-2 გვ.
- მძლეოსანთა კარგი სტარტები — მე-3 გვ.
- ოლიმპიური იდეებისადმი მიძღვნილი... — მე-4 გვ.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 23 (3762)

1969 წ. 2 თებერვალი, კვირა. ფასი 2 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 25-ე წელი.

თბილისის „დინამოს" კალათბურთელთა გუნდის სახელგანთქმული თავდამსხმელი ვ. უგრეხელიძე დიდი შედეგიანობით გამოირჩევა. მაგალითად, თანაქალაქელ ბურევესტნიკელებთან საკავშირო ჩემპიონატის ამასწინანდელ პირველ მატჩში მან თავის გუნდს 20 ქულა შესძინა.

• • •

სურათზე: ვ. უგრეხელიძე ამთავრებს ერთ-ერთ შეტევას.

ფოტო ბ. გიგაურისა

ფიზკულტურელთა კარგი მეგობარი

სახალხო განათლება

გაზეთ „სახალხო განათლების" 40 წლისთავის გამო

კიდევ ერთი სასიხარულო თარიღი აღნიშნა ქართულმა საზოგადოებრიობამ: გაზეთ „სახალხო განათლებას" 40 წლისთავი შეუსრულდა.

31 იანვარს თბილისში გაიმართა საღამო, რომელიც მიეძღვნა საქართველოს სახალხო განათლების მუშაკთა საბრძოლო ორგანოს, ფიზკულტურული მოძრაობის ერთ-ერთი ორგანიზატორის — „სახალხო განათლების" 40 წლისთავის იუბილეს.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ განათლების მინისტრმა თ. ლაშქარაშვილმა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლებელთა განყოფილების გამგემ დ. ლაშქარაძემ წაიკითხა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმება გაზეთ „სახალხო განათლების" რედაქციის კოლექტივისადმი, აქტივისა და მკითხველებისადმი.

მოხსენება გაზეთ „სახალხო განათლების" შემოქმედებითი გზის შესახებ გააკეთა მისმა რედაქტორმა ნ. შველიძემ.

საღამოზე იუბილარის მისამართით წარმოთქვეს მისასალმებელი სიტყვები და გადასცეს ადრესები.

40 წლის წინათ, 1928 წლის 13 დეკემბერს გამოვიდა საქართველოს სახალხო განათლების მუშაკთა ორგანოს — „განათლების მუშაკის" პირველი ნომერი. 1932 წლიდან ეს სახელწოდება შეიცვალა „კომუნისტური განათლებით", 1938 წლიდან „საბჭოთა მასწავლებლით", ხოლო 1946 წლიდან მას დღევანდელი სახელწოდება ჰქვია — „სახალხო განათლება".

დიდი ღვაწლი მიუძღვის „სახალხო განათლებას" საქართველოში განათლების მძლავრ აღმავლობასა და კომუნისტური პარტიის მიერ სკოლის წინაშე დასახულ ამოცანათა ღირსეულად განხორციელებაში.

გაზეთი დიდ მუშაობას ეწევა, რათა მოსახლეობის ფართო ფენებს მოუთხროს განათლების მუშაკთა კეთილშობილურ, საშვილიშვილო საქმიანობაზე, იგი მოწინავე პედაგოგიური აზრისა და პრაქტიკის ნამდვილი პროპაგანდისტია. მის ფურცლებზე, ყოველ ნომერში ნახავთ საინტერესო წერილებს აქტუალურ და საჭირბოროტო საკითხებზე. მოწინავე სკოლების გამოცდილების განზოგადება, ინიციატორთა მხარდაჭერა, თაოსანთა ხელშეწყობა, ნაკლოვანებათა ულმობელი მხილება და შესაბამის ღონისძიებათა დასახვა „სახალხო განათლების" ყოველდღიური საქმიანობის მიზანს წარმოადგენს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 10 ნოემბრის დადგენილებაში „საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ" უდიდესი მნიშვნელობის ამოცანებია დასახული ჩვენს ქვეყანაში სახალხო განათლების შემდგომი განვითარებისთვის და გაზეთს თავისი წვლილი კეთილსინდისიერად შეაქვს მათი განხორციელების საქმეში.

„სახალხო განათლება" მუდამ აქტიურად იბრძოდა ფიზიკური კულტურისა და სპორტის მასობრივად დანერგვისთვის, მაღალი კლასის სპორტსმენთა აღზრდისთვის მოსწავლეთა შორის. გაზეთის ფურცლებზე გამოქვეყნებული მასალები გამოირჩევა პრობლემათა აქტუალობით და სასიცოცხლო მნიშვნელობით.

იუბილესთან დაკავშირებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა საპატიო სიგელით დააჯილდოვა გაზეთი და რედაქციის მუშაკების ერთი ჯგუფი. ეს მაღალი ჯილდო „სახალხო განათლების" მთელ კოლექტივს ავალებს კიდევ უფრო მეტი შემოქმედებითი ენერგიით იბრძოლოს ახალი წარმატებებისთვის.

გულმხურვალედ მივულოცავთ ძვირფას კოლეგებს სახელოვან იუბილეს.

მოსკოვი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის ყინულის ბილიკზე გაიმართა მოტორბოლა „სისწრაფის რკალის" პრიზზე.

• • •

სურათზე: შეჯიბრებაში გამარჯვებულნი (მარცხნიდან) — II ადგილზე გასული გ. კოტოვი (კუიბიშევი), პირველი პრიზიორი ვ. ციბროვი (ლუხოვიცი), მესამე პრიზიორი ა. კუჩერენკო (მოსკოვი).

ფოტო ვ. უნ და-სინისა (საქდესი).

უკანასკნელ საათს ჩემპიონატი დასრულდა

◆ ალმა-ათა, 1 თებერვალი. დღეს შედგა სსრ კავშირის მოჭადრაკე ვაჟთა 36-ე ჩემპიონატში უკანასკნელი გადადებული პარტიების დამთავრება. თამაშის განუახლებლად ბაგიროვი დანებდა ლუტიკოვს, ხოლო სახაროვ—ხოლმოვი ყაიმზე შეთანხმდნენ. ყაიმით დამთავრდა ოსნოს — კლოვანის შეხვედრა.

ამრიგად, დასრულდა ჩემპიონატი, რომელმაც ერთ თვეზე მეტხანს გასტანა. როგორც ცნობილია, I-II ადგილები 12,5-12,5 ქულით გაიყვეს დიდოსტატებმა ლ. პოლუგაევსკიმ (მოსკოვის ოლქი) და ა. ზაიცევმა (ვლადივოსტოკი). ბრინჯაოს მედალი მოიპოვა საერთაშორისო ოსტატმა, კიშინიოველმა ა. ლუტიკოვმა — 11,5 ქულა.

აი, დანარჩენ მონაწილეთა შედეგები: ლიბერზონმა და ცეშკოვსკიმ დააგროვეს 11-11 ქულა; ტალმა, ხოლმოვმა, ვასიუკოვმა, პოდგაეცმა, კლოვანმა — 10,5-10,5; ავერბახმა, ლეინმა, ოსნოსმა — 10-10; სახაროვმა — 9; ბაგიროვმა, გურგენიძემ, ი. ზაიცევმა — 8,5-8,5; პლატონოვმა — 6,5; ჩერეპკოვმა — 4,5; ნიკიტინმა — 3,5.

ჩემპიონატის ლაურეატებს შორის ალმა-ათაში პირველად გამოჩნდა ა. ლუტიკოვის სახელი, მაგრამ ჩვენს საჭადრაკო ელიტაში ნიჭიერ ოსტატს დიდი ხანია უკავია საპატიო ადგილი. ადრე ლუტიკოვს იცნობდნენ, როგორც „დიდოსტატების რისხვას", ახლა კი, ძალთა გაფურჩქვნის პერიოდში (ლუტიკოვი 35 წლისაა) მან ბოლოსდაბოლოს მოიპოვა დიდოსტატის წოდების უფლება.

ახლა, როცა ანალიზს ვუკეთებთ ჩემპიონატის შედეგებს, არ შეიძლება ყურადღება არ მივაქციოთ ერთ მნიშვნელოვან გარემოებას. უკვე ხუთ წელზე მეტია, რაც საკავშირო ჩემპიონატები თავს ვერ უყრიან საბჭოთა საჭადრაკო სკოლის მთელ ნაღებს. დასანანი კია, ასეთი პარადოქსული მდგომარეობა ალბათ სპორტის მხოლოდ ამ სახეობაშია, სადაც საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ოქროს მედლის მაძიებელთა შორის დიდი ხანია ვერ ვხედავთ ჩვენს მოწინავე დიდოსტატებს.

სსრ კავშირის საჭადრაკო ფედერაციამ ჯერ კიდევ წლეულს უნდა მიაღწიოს, რომ ახალი საკავშირო პირველობის შესარჩევმა ნახევარფინალურმა ტურნირებმა მსოფლიოს ჩემპიონისა და წინა ჩემპიონატის პრიზიორების გარდა, თავი მოუყაროს ჩვენს ყველა მოქმედ დიდოსტატს. მხოლოდ მაშინ დაიკავებს სსრ კავშირის პირველობის ფინალი მისთვის შესაფერის ადგილს მსოფლიოს ყველაზე წარმოსადეგ საჭადრაკო ფორუმებს შორის. (საქდესი).

კვლავ წაგება

ლენინგრადი, 1 თებერვალი. აქ გრძელდება სსრ კავშირის კალათბურთელ ქალთა ჩემპიონატი. გუშინ გაიმართა მორიგი ტურის მატჩები: „დინამო" (კიევი) — უსკ (ტარტუ) 65:71 (37:34, 62:62), „სპარტაკი" (მოსკოვის ოლქი) — „დინამო" (ნოვოსიბირსკი) 85:68 (35:26), „სპარტაკი" (ლენინგრადი) — ასკ (ლენინგრადი) 73:28 (42:17), ტტტ (რიგა) — „ბურევესტნიკი" (ლენინგრადი) 66:44 (23:21).

კვლავ წარუმატებლად ითამაშეს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სპორტსმენებმა. მათ დიდი ანგარიშით წააგეს შეხვედრა ვილნიუსის „კიბირკშტისთან" — 46:71 (21:42).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲤᲠᲔᲜᲑᲣᲠᲗᲘ, ᲡᲔᲜᲡᲐᲪᲘᲔᲑᲘ ᲓᲐ... ᲒᲠᲘᲞᲘ

ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲢᲝᲠᲡ

ფრენბურთელთა წლევანდელ ჩემპიონატში ყველაფერი უჩვეულოა: გათამაშების ახალი „საფეხბურთო" სისტემა (მოგზაურობით), ლიდერთა მარცხის სიმრავლე, სატურნირო ცხრილში ქვეყნის ჩემპიონის — ტალინის „კალევის" ბოლოსწინა ადგილი, სპორტულ ჭიდილში გრიპის ჩარევა. ჩვეულებრივია მხოლოდ ის, რომ მატჩების უმრავლესობა დაძაბულ ბრძოლაში მიმდინარეობს და როცა ორ მატჩს ზედიზედ თამაშობენ მეტოქენი, ანგარიში ხშირად საყაიმოა — 1:1.

ჩემპიონატის თავისებურებათა მიუხედავად, ცსკა-ს წარმატება კანონზომიერია. მეხიკოს თამაშების შემდეგ გუნდში დაბრუნებულებმა, ამჯერად ოლიმპიური თამაშების ორგზის ჩემპიონებმა გ. მონძოლევსკიმ და ე. სიბირიაკოვმა არმიელთა მოქმედებას კვლავ დაუბრუნეს მრისხანე ძალა. თუ გავითვალისწინებთ, რომ თანაგუნდელთა შორის ცოტა როდია დებიუტანტი და კოლექტივი ფაქტიურად ჩამოყალიბების პროცესშია, შეიძლება ითქვას ცსკა-ს კარგი პერსპექტივების შესახებ.

დამაჯერებლად გრძნობენ თავს ლიდერის უჩვეულო როლში კიევის „ლოკომოტივის" სპორტსმენები. ამ გუნდს ახასიათებს ჰარმონიული ანსამბლი: ექვსეულის ყოველი მოთამაშე ერთნაირი წარმატებით გამოდის როგორც მიმწოდებლის, ისე თავდამსხმელის როლში. „ლოკომოტივი" ახლა ალბათ ყველაზე უნივერსალური გუნდია სსრ კავშირში. მეტოქეთა მოქმედებას ისიც ართულებს, რომ კიეველთა შორის ორი ცაციაა. უკრაინული ფრენბურთის საუკეთესო ტრადიციების გამგრძელებლები — რკინიგზელი სპორტსმენები გამარჯვებისადმი დიდ სწრაფვას ამჟღავნებენ. მათ ხომ მხოლოდ 4 მატჩი გამართეს საკუთარ მოედანზე და არც ერთ მეტოქესთან ორჯერ არ დამარცხებულან.

„კალევის" წარუმატებლობას ორი მიზეზი აქვს: ერთი ისაა, რომ იგი პირველად გამოდის ჩემპიონის როლში, მეორეც ის, რომ ერთდროულად ასპარეზობს ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშებაში.

კარგად აიღეს სტარტი მოსკოვის დინამოელებმა, რომლებმაც თავიანთი თამაშით თითქოს დაამტკიცეს, რომ შარშანდელი კრიზისი უკან დარჩა. მაგრამ თავისი კორექტივები შეიტანა... გრიპმა. და აი, ბოლო შვიდ შეხვედრაში დინამოელები ექვსჯერ დამარცხდნენ.

თავდაპირველად არც თუ ისე კაშკაშა იყო ლუგანსკის „ზვეზდას" შუქი. გუნდი პირველად გამოჩნდა დიდი ფრენბურთის ცის კაბადონზე, მაგრამ ოთხი მატჩის ზედიზედ მოგების („კალევთან" და „რადიოტექნიკთან") შემდეგ ახალბედებმა საგრძნობლად გაიუმჯობესეს საქმეები. თუმცა ასეთივე შანსი აქვთ სხვა გუნდებსაც — ჩემპიონატს ჯერ არ გადაულახავს ეკვატორი.

ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ

მდგომარეობა 31 იანვრისთვის

	თ.	მ.	წ.	ქ.
ᲪᲡᲙᲐ	18	11	7	11
„ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘ" (კიევი)	16	10	6	10
„ᲑᲣᲠᲔᲕᲔᲡᲢᲜᲘᲙᲘ" (ალმა-ათა)	16	9	7	9
„ᲠᲐᲓᲘᲝᲢᲔᲥᲜᲘᲙᲘ" (რიგა)	16	9	7	9
ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲘᲡ ᲥᲘᲛᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲜᲐᲕᲗᲝᲑᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ (ბაქო)	16	8	8	8
„ᲑᲣᲠᲔᲕᲔᲡᲢᲜᲘᲙᲘ" (მოსკოვი)	16	8	8	8
„ᲑᲣᲠᲔᲕᲔᲡᲢᲜᲘᲙᲘ" (ოდესა)	16	8	8	8
„ᲖᲕᲔᲖᲓᲐ" (ლუგანსკი)	14	7	7	7
ᲐᲡᲙ (დონის როსტოვი)	16	7	9	7
„ᲓᲘᲜᲐᲛᲝ" (მოსკოვი)	18	7	11	7
„ᲙᲐᲚᲔᲕᲘ" (ტალინი)	14	6	8	6
„ᲑᲣᲠᲔᲕᲔᲡᲢᲜᲘᲙᲘ" (ხარკოვი)	16	6	10	6

ᲠᲐ ᲘᲥᲜᲐ ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲟᲘᲜᲘ?

როგორც წინა ნომერში ვიტყობინებოდით, თბილისში დამთავრდა „ა" კლასის II ჯგუფის ფრენბურთელ ვაჟთა საკავშირო პირველობის ტური, რომელშიც ექვსი გუნდი მონაწილეობდა. ტურნირში 8 გუნდს უნდა ესპარეზა, მაგრამ ფრუნზეს „ალგასა" და დუშანბეს „ტაჯიკისტანის" ჩამოუსვლელობამ ტურნირს რამდენადმე დაუკარგა დაძაბულობა. ეს გუნდები ალბათ მოგვიანებით ჩაებმებიან გათამაშებაში.

რა თქმა უნდა, ჯერ ადრეა რაიმე დასკვნების გაკეთება თბილისის ტურის მიხედვით გუნდების თამაშის კლასზე, მაგრამ ზოგიერთი რამ უკვე ახლა მოიხაზა და ვფიქრობთ, უსარგებლო არ იქნება მათზე შეჩერება.

ჩვენს გაზეთში უკვე დაიწერა, რომ თბილისის „ბურევესტნიკის" კოლექტივში შეინიშნება სასიამოვნო პერსპექტივები, რომ გუნდში ნიჭიერი ახალგაზრდობა მოვიდა და კარგად შეეწყო ვეტერანებს. მაგრამ შემდეგ ჩვენი გაზეთი იმასაც წერდა, რომ თბილისელებში ერთგვარმა თვითდაჯერებამ იჩინა თავი, რაც სასიკეთოს არაფერს უქადდა გუნდს. ბურევესტნიკელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ სწრაფად აღმოფხვრეს ამ საშიში სენის სიმპტომები და ის იყო უნდა გვეფიქრა, გუნდი მთელი ძალით ათამაშდება, თანაბარ ბრძოლაში დამარცხდა გროზნოს „სპარტაკთან". ჩვენ განსაკუთრებით გვსურს შევჩერდეთ ამ მატჩზე, ვინაიდან სწორედ აქ ნათლად იჩინა თავი თბილისელთა თამაშის ხარვეზებმა.

თანაბარი კლასის გუნდებში ყოველგვარი შედეგია მოსალოდნელი და ამის გამო განგაშის ატეხა იქნებ არც ღირდეს, მაგრამ როცა ხედავ, რომ გუნდმა წააგო მხოლოდ იმიტომ, რომ სპორტული ჟინით არ იბრძოდა და მეტოქეს გაუმართლებლად დაუთმო თავისი კოზირი, აქ დუმილი უკვე დანაშაულია. ხომ საყოველთაოდ ცნობილია, რომ სპორტის ნებისმიერ სახეობაში ქართველი ათლეტებისთვის ცეცხლოვანი ტემპერამენტია დამახასიათებელი. ისე ნუ გაგვიგებენ, თითქოს მხოლოდ ტემპერამენტის წყალობით შეიძლება სპორტული მწვერვალების დაპყრობა. მაგრამ თუ სხვა მონაცემები თანაბარია, მაშინ ხშირად სწორედ ტემპერამენტი იქცევა ხოლმე გამარჯვების ერთ-ერთ მთავარ სტიმულად.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ გროზნოელებმა იმ დღეს ბრწყინვალედ ითამაშეს: მათ ამჯერად ყველაფერი გამოსდიოდათ: შესანიშნავად მოქმედებდნენ როგორც თავდასხმაში ისე, განსაკუთრებით, დაცვაში, მასპინძლები კი საოცრად სუსტად თამაშობდნენ დაცვაში. გუნდის თითქმის ყოველი წევრი საოცარი ინერტულობით იბრძოდა — თითქოს წაგება-მოგება მათ კი არა, ვიღაც სხვას ეხებოდა.

ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს ვ. ასლანიდის არასტაბილური თამაში. ამას იმიტომ ვუსვამთ ხაზს, რომ იგი ფაქტიურად კოლექტივის დირიჟორია. საერთოდ უნდა ითქვას, რომ მოგებულ მატჩებშიც კი მოიკოჭლებდა თბილისელთა დაცვა.

ტურნირი მხოლოდ დაიწყო. წინაა საპასუხისმგებლო შეხვედრები და თბილისელებს კიდევ აქვთ დრო გამოასწორონ ხარვეზები, ჩადგნენ მოწინავეთა რიგებში და დაუბრუნონ ქართულ ფრენბურთს დაკარგული დიდება.

ა. მხეიძე.

ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ, ᲒᲐᲛᲝᲙᲕᲚᲔᲕᲔᲑᲘ, ᲫᲘᲔᲑᲐᲜᲘ

1. ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲬᲘᲒᲜᲘ

1926 წელს თბილისში გამომცემლობა „შრომამ" დასტამბა პირველი საჭადრაკო წიგნი ქართულ ენაზე — მ. ს-ძის „ჭადრაკი". ეს იყო დიდი ისტორიული მოვლენა.

ჩვენში ჭადრაკს მრავალსაუკუნოვანი წარსული აქვს. მას დიდი პატივით იხსენიებენ ძველი ქართული კლასიკური ლიტერატურის ძეგლებში, ჭადრაკის უძველეს ფიგურებს მიაგნეს არქეოლოგებმა, შეიქმნა ჭადრაკის ქართული ტერმინოლოგია და ფიგურების ეროვნული გამოსახულება, ჭადრაკს თაყვანს სცემდნენ გამოჩენილი მოღვაწენი, დიდგვაროვანი ოჯახების ასულები კი თავს იწონებდნენ თამაშის ცოდნით და ძვირფასად ნაკეთები ჭადრაკი მზითევში მიჰქონდათ. ყოველივე ამის მიუხედავად, ჩვენს მამა-პაპათ ერთი საჭადრაკო წიგნიც არ შეუქმნიათ. არადა, იგი უნდა დაწერილიყო. ძლიერი მოჭადრაკეები იმ შორეულ წარსულშიც იქნებოდნენ. აქ არ შევუდგებით ამის მიზეზების გარკვევას, — ფაქტია, რომ მხოლოდ XX საუკუნის პირველ მეოთხედში დაიწერა ქართული საჭადრაკო წიგნი.

რას წარმოადგენს ეს „ჭადრაკი"? რა მიზანს ისახავდა ავტორი და მიაღწია თუ არა საწადელს?

მ. ს-ძის „ჭადრაკი" არის მოკლე სახელმძღვანელო. მასში ვკითხულობთ: „უცხო ენებზე ჭადრაკის შესახებ დიდძალი ლიტერატურა არსებობს. სახელმძღვანელოებისა და დამხმარე წიგნების გარდა იწერება სპეციალური გამოკვლევები და შრომები. ქართულ ენაზე კი უბრალო პირველდაწყებითი სახელმძღვანელოც არ მოიპოვებოდა. ამ სტრიქონების დამწერის მიზანი იყო ეს ნაკლი შეევსო და ჭადრაკის ქართველ მოყვარულთათვის მიეწოდებინა ელემენტარული მოკლე სახელმძღვანელო".

წიგნის თავფურცელზე ავტორს ეპიგრაფად მოტანილი აქვს ძველი ხალხური ქართული თქმა:

ნარდი ბედია
ჭადრაკი ჭკუა;
ბანქო ცუდია
განჯაფა ტყუა.

წიგნი შედგება შემდეგი თავებისგან: I. შესავალი, II. საერთო ნაწილი, III. თამაშის ბოლო, IV. დებიუტი და შუა თამაში, V. გამოჩენილი მსოფლიო მოჭადრაკენი და მათი პარტიები, VI. ჭადრაკი საქართველოში. ბოლოსიტყვაობა. წიგნში 194 გვერდია და 89 დიაგრამა. გამოცემულია 2-ათასიანი ტირაჟით.

მ. ს-ძე გვამცნობს, რომ სახელმძღვანელოს შედგენის დროს მასალად გამოუყენებია საუკეთესო სახელმძღვანელოები; უფრო კი უსარგებლია კაპაბლანკას, ლასკერის, ბერგერის, ბახმანის და ლევენფიშის წიგნებით. იქვე გვაფრთხილებს: „ავტორის პრეტენზიები იმაზე შორს არ მიდიოდა, რომ სულ ელემენტარული ცნობები მიეწოდებინა მათთვის, ვისაც საშუალება არა აქვს უცხო ენაზე დაწერილი წიგნი გამოიყენოს".

ჩვენც ამ მხრიდან გავეცნოთ წიგნს.

„შესავალში" ვკითხულობთ ჭადრაკის რაობასა და სარგებლობაზე, აგრეთვე, ლეგენდას ამ ბრძნული თამაშის წარმოშობაზე.

„საერთო ნაწილი" მთლიანად თამაშის დაწყებითი ცოდნისადმია მიძღვნილი. აქ ლაპარაკია დაფასა და ფიგურებზე, მათი მოძრაობის წესებზე, პარტიის ჩაწერის ტექნიკაზე და თამაშის საერთო წესებზე. სხვათა შორის, ავტორი იმასაც ხსნის, თუ როგორ თავისებურად იწერენ პარტიას ფრანგები, ამერიკელები და ინგლისელები. ეს იმ დროს ნამდვილად აუცილებელი გახლდათ, რაკი საბჭოთა ქვეყანასთან შედარებით უცხოეთში უფრო მეტი საჭადრაკო წიგნი გამოდიოდა.

ამ თავში პატარა ადგილი აქვს დათმობილი აგრეთვე ჭადრაკის თამაშის განვითარების საკითხს. რა თქმა უნდა, ეს ნაამბობი უადვილებს მკითხველს ჭადრაკის ევოლუციის გაგებას, მის სვლას პროგრესის გზაზე.

უკვე „საერთო ნაწილში" უხვად ვხვდებით ავტორისეულ საჭადრაკო ტერმინებს, რომლებიც უთუოდ საყურადღებო არიან. მაგალითად, პარტიის (ეს სიტყვა ჩვენს ჭადრაკში რუსულიდან შემოვიდა) მაგივრად იგი ხმარობს ხელს („პირველი სვლიდან ვიდრე შამათამდე, ე. ი. უკანასკნელ სვლამდე, თამაშს ერთი ხელი ანუ ერთი პარტია ეწოდება").



უდავოდ დიდი პედაგოგიური ალღოთი მიხვდა მ. ს-ძე, რომ აღსაზრდელს ჭადრაკი ენდშპილიდან უნდა ვასწავლოთ. იმ დროს ყველა სახელმძღვანელო (სამწუხაროდ, დღესაც) დებიუტის ახსნით იწყება. III თავში („თამაშის ბოლო") ვკითხულობთ: „ჩვეულებრივად ენდშპილის შესწავლიდან იწყებენ ხოლმე, შემდეგ დებიუტებზე გადადიან და ბოლოს შუა თამაშს იხილავენ. ჩვენც ამ წესს დავიცავთ, მით უმეტეს, რომ ფიგურის ძალა და სუსტი მხარე უფრო ენდშპილშია თვალსაჩინო".

როგორც ხედავთ, ავტორი თამაშის სწავლებას პრაქტიკული თვალსაზრისით მიუდგა.

ამ თავში განხილულია ენდშპილის ყველა სახეობა. მოცემულია მათი თამაშის ელემენტარული წესები. ახსნილია ოპოზიცია, ცუგცვანგი. გულდასმითაა გაანალიზებული შამათი ლაზიერით, ეტლით, ორი კუთი, კუთი და მხედრით. აქ შეიმჩნევა ავტორის მიერ ლასკერისა და კაპაბლანკას სახელმძღვანელოებით სარგებლობა.

ყურადსაღებია „ენდშპილის მთავარი პრინციპები", სადაც საუბარია ენდშპილში მეფისა და პაიკების მნიშვნელობის ზრდაზე, სხვა ფიგურების მოქმედუნარიანობის გარდაქმნაზე.

IV თავი („დებიუტები და შუა თამაში") ზოგადია. აქ ყველაზე მეტად იგრძნობა, რომ ავტორი არ არის დახელოვნებული მოჭადრაკე. სხვათა შორის, ამას იგი არც მალავს. საქმე ისაა, რომ მ. ს-ძეს გაუჭირდა უხვი მასალის დაკონკრეტება, ამიტომ დებიუტების უბრალო ჩამოთვლით დაკმაყოფილდა. მართალია, იგი ამბობს, „ვცდილობდი წიგნი სახალისო საკითხავი ყოფილიყო. ამიტომ იგი არ დამიტვირთავს მძიმე და მოსაწყენი მასალით. დებიუტების ნაირნაირი ვარიანტების მაგივრად საუკეთესო მოჭადრაკეების მიერ გათამაშებული დებიუტების მოყვანა ვამჯობინე", მაგრამ მოყვანილი სადებიუტო სვლები, რა თქმა უნდა, არ დააკმაყოფილებს შემსწავლელს, რაკი სრულებით არ არის ახსნილი ამათუიმ სადებიუტო სისტემის არსი.

კიდევ უფრო სუსტადაა მოცემული შუა თამაში. არც აქ არის პოზიციური და კომბინაციური ბრძოლის პრინციპების განმარტება. ახსნილია მხოლოდ რამდენიმე ტაქტიკური მუქარა და მათი თვალსაჩინოების მიზნით მაგალითებია მოტანილი.

საინტერესოდ გაუაზრებია მ. ს-ძეს V თავი — „გამოჩენილი მსოფლიო მოჭადრაკენი და მათი პარტიები". თხრობა იწყება ყველაზე უძველესი პარტიით. შემდგომ ვეცნობით დილარმის შამათს და შუა საუკუნეების მოჭადრაკეებს. უფრო დაწვრილებითაა მოთხრობილი ფრანგ ფილიდორსა და XIX საუკუნის მოჭადრაკეებზე — ფრანგებზე დეშაპელსა და ლაბურდონეზე, ინგლისელ მაკდონელზე, გერმანელ ანდერსენსა და ამერიკელ მორფიზე, მსოფლიოს პირველ ჩემპიონ სტეინიცზე და ავტორისდროინდელ გამოჩენილ მოჭადრაკეებზე — ლასკერსა და კაპაბლანკაზე. ამ თავს აგვირგვინებს ქვეთავი „ჭადრაკი საბჭოთა კავშირში", სადაც საუბარია ჩვენში საჭადრაკო ცხოვრების მძლავრ მაჯისცემაზე.

ჩანს, ავტორს ამ თავისთვის მასალის შესაკრებად ბეჯითად და სიყვარულით უმუშავნია. ლიტერატურული ნაწილი დიდი ინტერესით იკითხება, მაგრამ მოყვანილი პარტიები, თუმცა გულდასმითაა შერჩეული, ახალბედისთვის გაუგებარია, რაკი სრულებით არ არის მინიშნებული ბრძოლის გადამწყვეტი ეტაპები, კომბინაციების განმარტებაზე რომ არაფერი ვთქვათ.

სახელმძღვანელოს VI თავი — „ჭადრაკი საქართველოში" ღრმაშინაარსიანია. ავტორი პირველი მკვლევარია, რომელმაც თვალი გააყოლა ჩვენში ჭადრაკის წარსულს. მან ბევრ საკითხს მიაქცია ყურადღება. განსაკუთრებული სიღრმით შეისწავლა ქართული საჭადრაკო ტერმინები, გააანალიზა ისინი და შეეცადა კიდეც მათი წარმოშობა აეხსნა. ავტორს არც ანდრია დადიანის შემოქმედება გამორჩენია და არც თავისდროინდელი მოჭადრაკეები ხარლამპი სირბილაძე, ვიქტორ გოგლიძე, ვახტანგ ერისთავი და სხვანი.

წიგნს ბოლოსიტყვაობა აქვს დართული. იგი მკრთალ შუქს ფენს ავტორის ვინაობას, რომელიც უაღრესად მოკრძალებული და კეთილშობილი პიროვნება ჩანს, და გვაცნობს სახელმძღვანელოზე მისი მუშაობის პროცესს.

ეჭვმიუტანელია, რომ სახელმძღვანელომ ხელი შეუწყო ჭადრაკის გავრცელებას საქართველოში. იგი ისეთი მხურვალე სიყვარულით და მონდომებითაა შექმნილი, რომ ავტორი შთამომავლობის დიდ მადლობას იმსახურებს.

მაგრამ ვინაა მ. ს-ძე? რატომ დაიმალა იგი ამ ინიციალების მიღმა?

თ. გიორგაძე.

ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ + ᲛᲐᲢᲩᲘ

ალმა-ათაში, სსრ კავშირის ვაჟთა 36-ე საჭადრაკო პირველობის ვერც დასკვნითმა, XIX ტურმა დაგვისახელა ჩემპიონი. ა. ზაიცევმა და პოლუგაევსკიმ თავი აარიდეს რისკიან ბრძოლას და მეტოქეები — ი. ზაიცევი და ტალი ყაიმზე დაიყოლიეს. პირველი შეხვედრა მე-18 სვლაზე, ხოლო მეორე — მე-20 სვლაზე დამთავრდა.

ამრიგად, ზაიცევმა და პოლუგაევსკიმ 12,5-12,5 ქულა დააგროვეს და I-II ადგილები გაიყვეს. ჩემპიონის დასადგენად მათ შორის უახლოეს ხანში დამატებითი შეხვედრა (მატჩი 6 პარტიიდან) გაიმართება. სახელდობრ, სად და როდის მოეწყობა მატჩი, ამ დღეებში გადაწყვეტს სსრ კავშირის ჭადრაკის ფედერაცია.

III ადგილის ნაღდი შანსი ჰქონდათ პოდგაეცსა და ლუტიკოვს — 10,5-10,5 ქულა. ოდესელმა ოსტატმა თავი ვერ გაართვა ლეინთან პარტიაში ფსიქოლოგიურ ბრძოლას და დამარცხდა. ლუტიკოვმა დიდი მონდომებით შეუტია ბაგიროვს. პარტია დაუმთავრებელი დარჩა. ლუტიკოვს უპირატესობა აქვს.

გადაიდო სახაროვ — ხოლმოვის შეხვედრაც.

აი, გუშინწინ გამართული სხვა შეხვედრების შედეგებიც: ვასიუკოვი — ჩერეპკოვი 1:0, ლიბერზონი — პლატონოვი 1:0, გურგენიძე — ავერბახი 0,5:0,5, ნიკიტინი — ცეშკოვსკი 0:1.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

● **ვილნიუსი, 1 თებერვალი.** საერთაშორისო შაშში სსრ კავშირის ჩემპიონის სახელისთვის ა. ანდრეიკო — ა. განტვარგის მატჩში გუშინ შედგა IV პარტია. მსოფლიო ჩემპიონს, რიგელ დიდოსტატ ანდრეიკოს არ გამოუვლინებია აგრესიული განწყობილება და შეხვედრა ყაიმით დასრულდა. მატჩის ანგარიში გახდა 3:1 ანდრეიკოს სასარგებლოდ. სსრ კავშირის ჩემპიონის ოქროს მედლის მოსაპოვებლად რიგელს ნახევარი ქულაც ყოფნის დარჩენილ ორ პარტიაში.

● **ალმა-ათა, 31 იანვარი.** ჩიმბულაკის ფერდობებზე დამთავრდა სსრ კავშირის უძლიერეს სამთომოთხილამურეთა საუწყებო პირადი ტურნირი. ბოლო სახეობა ვაჟების გიგანტური სლალომი იყო. მის 2000-მეტრიან ტრასაზე იმარჯვა ა. კურაევმა (მოსკოვი) — 1.49,9. ტ. მონასტირიოვი (მოსკოვი) გამარჯვებულს 0,1 წამით ჩამორჩა. III ადგილზეა ვ. პანოვი (კიროვსკი) — 1.50,6. ტურნირის ლიდერი — კიეველი ვ. მარკინი ტრასაზე დაეცა და ბრძოლა შეწყვიტა.

მესამედ

ბაკურიანში ჩატარდა საქართველოს ელექტრომრეწველობის პროფკავშირებში შემავალი საწარმო-დაწესებულებების სპარტაკიადა სათხილამურო სპორტში.

10 კილომეტრზე რბენაში პირველი იყო ქარხანა „ელექტროავტომატის" წარმომადგენელი რ. გერლიანი, II ადგილი დაიკავა „ელექტროგამშვების" წევრმა ნ. მაჩაიძემ, III — ელმავალმშენებელი ქარხნის გუნდის წევრმა ი. ტარანმა.

ქალთა შორის 5 კილომეტრზე რბენაში გაიმარჯვა ელექტრომშედუღებელი ქარხნის თანამშრომელმა ვ. ზუევამ.

ვაჟთა ესტაფეტაში 3×5 კილომეტრზე ყველას აჯობეს ელმავალმშენებლებმა, ქალებში კი (3×3 კმ) — „ელექტროგამშვების" გუნდმა.

სლალომისტ ვაჟებში თავი ისახელა მაჩაიძემ. მისმა ამ გამარჯვებამ „ელექტროგამშვებს" მესამედ მოუპოვა ჩემპიონის სახელი. მეორე პრიზიორი გახდა ელმავალმშენებელი ქარხნის ნაკრები. III ადგილზეა „ელექტროავტომატის" გუნდი.

ვ. სხირტლაძე.

[illegible]

ბილიარდის მნიშვნელობა

ბევრს ბილიარდი უმნიშვნელო სპორტად მიაჩნია და ღიმილით ისმენს ხოლმე ამ თამაშის მოყვარულთა ნათქვამს, რომ სპორტის ეს სახეობა სიმტკიცეს, ნებისყოფას, კონცენტრირების უნარს, აზროვნებას მოითხოვს. ეს დაამტკიცა კიდეც მანუელ რამბლამ, რომელიც ერთხელ სანტ-იაგოს ერთ-ერთ ყავახანაში ბილიარდში ვარჯიშობდა. ამ დროს შეიარაღებული კაცი შემოიჭრა, მოლარეს იარაღი მოუღერა და ფული მოსთხოვა. იგი პისტოლეტს უღერებდა იქ მყოფ კლიენტებსაც, ხმა რომ არ ამოეღოთ. სწორედ ამ დროს ბილიარდის მოთამაშე რამბლამ, ვითომ ხელებს მაღლა სწევდა მორჩილების ნიშნად, უცებ ელვის უსწრაფესად, ისეთი ძალით და ისე მარჯვედ დაარტყა კი ხელში ავაზაკს, რომ ამ უკანასკნელს იარაღი გაუვარდა. ავაზაკი განაიარაღეს.

კიდევ იტყვით, ბილიარდი არაფერი სპორტიაო?!

ჩოგბურთი და მუსიკა

მუსიკის თანხლებით კაცი ყველაფერს უკეთ აკეთებს. ამ შეხედულებისაა ავსტრალიელი მისტერ ედვარდ მილერი. როგორც ამ ქვეყნის ყველა მცხოვრები, მილერიც ჩოგბურთის ფანატიკოსია. ავსტრალიაში ხომ იმდენი ჩოგბურთელი და იმდენი კორტია, რამდენიც ქვიშა ზღვის პირას!

ამ ედვარდ მილერს ასეთი ჰობი აქვს: ის თავის ჩოგანს სიმებს უკეთებს, სიმები ბურთზე დარტყმისას მუსიკალურ ბგერებს გამოსცემენ, მაგრამ ისე წყნარად, რომ „მუსიკა" მხოლოდ მილერს ესმის, მეტოქემდე კი ვერ აღწევს.

ცნობისმოყვარე მაყურებლები დაინტერესდნენ, რა უპირატესობა ჰქონდა ასეთ „მუსიკალურ" ჩოგანს. მილერს „საიდუმლოება" არ დაუფარავს:

— მუსიკალური ჩოგანი მე უკეთესი შედეგებისთვის აღმძრავს. ამას გარდა, ჟღერადობის მიხედვით ვატყობ ხოლმე, სწორად მივილე თუ არა ბურთი. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მე ხომ მუსიკალური კაცი ვარ.

გადარჩენილი პლანერისტი

სწრაფმა მოფიქრებამ დაღუპვას გადაარჩინა მსოფლიოს ექს-ჩემპიონი საპლანერო სპორტში ჰატი. იგი შვეიცარიაში ვარჯიშობდა. 2.800 მეტრის სიმაღლეზე ასულმა უცებ შენიშნა, რომ მისკენ ორი ვეებერთელა არწივი მოფრინავდა. არწივებმა გააფთრებით შეუტიეს ჰატის „ფრინველს". სპორტსმენი როგორც იქნა მიწაზე დაეშვა. იქვე დაეცა გატარნული ფრთები. ჰატის სისხლის დიდი ლაქა და რამდენიმე შრამი აჩნდა.

ხელბურთის უნივერსალური გუნდი

საფრანგეთის ერთ-ერთი პატარა ქალაქის ხელბურთელთა გუნდს უცნაური ჩვეულება აქვს: ხელბურთელებს თვით უცხოურ ტურნეშიც კი ყველაფერი საჭირო თან მიაქვთ. ისინი მასპინძლებს ათავისუფლებენ მოვლა-პატრონობაზე ზრუნვისგან (გუნდს საცხოვრებელი კარვებიც კი საკუთარი აქვს). ეს კიდევ ცოტაა. ამ გუნდის მოთამაშეთა შორის არიან მომღერლები, მოცეკვავენი, მსახიობები. გუნდი წარმოადგენს ხოლმე სამ კომედიას და ერთ მუსიკალურ რევიუს. თუ თამაშით ვერ მიიზიდავენ მაყურებელს, ხელბურთელები ამის კომპენსაციას წარმოდგენებით ახდენენ.

ერთგული ძაღლი

ერთ ფრანგ რეგბისტს მატჩზე მუდამ თავისი ძაღლი მიჰყავდა. თამაშის დროს ძაღლი ტრიბუნაზე იყო და პატრონს თვალს იქიდანვე ადევნებდა (სპეციალური კაცი ჰყავდა მიჩნეული მეთვალყურედ). ძაღლი მხიარულად ყეფდა, როცა პატრონი მარჯვედ ითამაშებდა, მაგრამ ერთი ნაკლიც ჰქონდა: თუ მის მფარველს უხეშად ეთამაშებოდნენ, უმალ მინდორზე გადაეშვებოდა და მოწინააღმდეგეს ეცემოდა ხოლმე. ჩვეულებრივ, მოწინააღმდეგე დასისხლიანებული შველოდა თავს. ბევრი პროტესტის შემდეგ ძაღლს თამაშზე დასწრება აეკრძალა.





მნახველთა სამსჯავროზე

ვინც ამ ბოლო დროს თბილისში, კინოთეატრ „რუსთაველში" ყოფილა, არ შეიძლება სეანსის დაწყებამდე არ დამტკბარიყო ფოიეში მოწყობილი სპორტული ფოტოსურათების გამოფენით. სტენდებზე გამოკრული 40-ზე მეტი დიდი ფორმატის ფოტოგრაფია მოგვითხრობს საქართველოს სპორტულ ცხოვრებაზე, მის თვალსაჩინო სპორტსმენებზე, მწვრთნელებზე...

ეს ფოტოგამოფენა შარშან სპორტული კინოფილმების II საკავშირო ფესტივალის დღეებში გაიხსნა და მნახველთა თხოვნით მისი ექსპონირება გრძელდება.

ამ საინტერესო და შინაარსიანი გამოფენის ავტორია თბილისის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის ჟურნალისტიკის განყოფილების V კურსის სტუდენტი ვ. გენგიური.

ნიჭიერ ფოტოჟურნალისტს კარგად იცნობს ქართველი მკითხველი. მისი ფოტოსურათები ხშირად იბეჭდება ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში.

გენგიური საკავშირო და რესპუბლიკური ფოტოგამოფენების მონაწილეა. სულ ახლახან იგი სამი ნამუშევრით წარსდგა გამოფენაზე — „თბილისი და თბილისელები" და მოწონებაც დაიმსახურა.

ვ. გენგიურს უყვარს სპორტი, მისი დინამიკა, შემართება... ამიტომ ბევრი სურათიც გადაუღია და მათგან რჩეულები მნახველთა სამსჯავროზე გამოუტანია.

თ. ნინოშვილი.

მძლეოსნებმა გახსნეს საუკეთესოთა სიები

მძლეოსნობის სტატისტიკოსთა „რეესტრები" შეივსო მაღალი შედეგების მთელი სერიით — „ტრუდის" ზამთრის ჩემპიონატის მონაწილეებმა მოსკოვის ნორჩი პიონერების სტადიონის მანეჟზე საუცხოო მაჩვენებლებით იასპარეზეს. კომის ავტონომიური რესპუბლიკის წარმომადგენელმა გ. სობოლევამ 1500 მ 4 წუთსა და 29,6 წამში გაირბინა, რაც დარბაზებისთვის მსოფლიოს უმაღლესი მიღწევაა. მანვე გახსნა წლის საუკეთესო მორბენალთა სია 800 მეტრზე: სობოლევას შედეგი — 2.12,3 საუკეთესოა ევროპის მანეჟებზე.

ევროპის დარბაზებში წლეულს არავის უჩვენებია ისეთი მაღალი შედეგები, როგორიც: ნორჩ მოსკოველ ტ. ბიჩკოვას (სიგრძეზე ხტომა — 627 სმ), ბრიანსკელ ლ. სამოტიოსოვას (100 მ—11,9), ნოვოსიბირსკელ ა. ბაგაევს (100 მ — 10,6), გორკელ თარჯმორბენალ ს. ბალაბანოვს (110 მ — 14,4).

მოსკოვის ოლქის წარმომადგენელმა ა. შოროხოვმა 5000 მ 14 წუთსა და 9,6 წამში გაირბინა, ხოლო კიროველმა ა. ზაგორსკიხმა 10000 მ — 29 წუთსა და 55 წამში.

1500 მეტრზე რბენაში ი. ვერლანის (კემეროვო) დროა 3.49,6.

მხოლოდ 0,1 წამით ვერ შეწვდა თავისივე მსოფლიო მიღწევას 100 მეტრზე თარჯრბენში ანა ზადოშენკო. მისი დროა 14,4 წამი.

სვერდლოვსკელმა იუნიორმა ი. ისაკოვმა ამ ზამთარს უკვე მესამედ დასძლია ჭოკით 5-მეტრიანი სიმაღლე. მეხიკოს XIX ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორმა, პენზელმა ნ. სმაგამ მანეჟის რეზინის ბილიკზე 10 კილომეტრზე სპორტულ სიარულში 44.56,8 აჩვენა.

•KOPANA•ФУТБОЛ•ფეხბურთი•LABDARUGAS•

„ნეპშპორტის“ აზრით

უნგრეთის გაზეთმა „ნეპშპორტმა“ გამოაქვეყნა ევროპის უძლიერეს ნაკრებთა საკვალიფიკაციო სია დღეისთვის. მან პირველი ადგილი ჩეხოსლოვაკიის ფეხბურთელებს მიაკუთვნა, მეორე — შოტლანდიელებს, მესამე — ბულგარელებს.

აი, ათეულის დანარჩენი წევრები: 4. ბელგია, 5. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, 6. იტალია, 7. შვეცია, 8. ინგლისი, 9. სსრ კავშირი, 10 რუმინეთი.

საყურადღებოა, რომ „ნეპშპორტმა“ ათეულში არ შეიყვანა საკუთარი გუნდი — უნგრეთის ნაკრები.

● ●

„ეს მატჩი გადაწყვეტს!“

ასე ფიქრობს ესპანეთის ნაკრების მწვრთნელი ე. ტობა ბელგია — ესპანეთის ნაკრები გუნდების შეხვედრის წინ, რომელიც 23 თებერვალს გაიმართება ლიეჟში.

ტობამ შეარჩია ის მოთამაშეები, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ ესპანეთის ნაკრების უახლოეს ოფიციალურ მატჩებში. აი, ტობას კანდიდატებიც: **მეკარეები** — ირიბარი და სადურნი; **მცველები** — ტორესი, გალიეგო, ელადიო, მარტინი; **ნახევარმცველები** — ზოკო, ველასკესი და ზაბალა; **თავდამსხმელები** — კლარამუნტი, ფუერტესი, პერედა, ამანსიო, ლუისი, როხო და ასენსი.

● ●

„ფკ ვიტორიოზო“ და „ფკ მოდესტო“

ვინმე ლოდელომ იტალიაში დააარსა ფეხბურთელთა კლუბი „ფკ ვიტორიოზო“, რაც გამარჯვებულებს ნიშნავს. გუნდს დიდი რეკლამა გაუკეთეს და იგი გარკვეული სამზადისის შემდეგ ჩაება ბრძოლაში. მაგრამ გუნდმა ვერ გაამართლა თავისი ასეთი პრეტენციოზული სახელწოდება, ვერ შეძლო ვერც ერთი მატჩის მოგება, დღეისთვის „ვიტორიოზოს“ საშინელი ბალანსი აქვს: 44 წაგება და 4 ფრე. საქმე იქამდე მივიდა, რომ სპორტულმა ორგანიზაციებმა და მრავალრიცხოვანმა გულშემატკივრებმა კატეგორიულად მოითხოვეს კლუბის სახელწოდების შეცვლა, ვინაიდან გუნდის გამოჩენა მინდორზე მაყურებელთა მხიარულ შეძახილებს იწვევდა.

„ფკ ვიტორიოზოსთვის“ ჯერ არ შეუცვლიათ სახელი, თუმცა უკვე არსებობს რამდენიმე წინადადება. ყველაზე უფრო შესაფერისად მიაჩნიათ „ფკ მოდესტო“, რაც თავმდაბლობას ნიშნავს.

● ●

ლ. დიუგოგეზის განცხადება

მას შემდეგ, რაც საფრანგეთის ნაკრებმა მსოფლიო პირველობის შესარჩევ მატჩში ნორვეგიელებთან მარცხი იწვნია, მწვრთნელმა ლ. დიუგოგეზმა გადაწყვიტა გუნდის საფუძვლიანი გადახალისება. ახლა ფრანგებს ამხანაგური მატჩი მოელით ინგლისელებთან „უემბლის“ სტადიონზე 12 მარტს. დიუგოგეზმა განაცხადა, რომ მას ძალიან მოეწონა რამდენიმე ახალი მოთამაშე: ბარათელი, კოსტანი, პაპინი, ნოვი და სურს მათი გამოცდა ნაკრებში, თუ ამ დროისთვის მას არ... გაანთავისუფლებენ სამუშაოდან.

● ●

22 უცხოელი

მეტად თავისებური რეკორდი დაამყარა ბელგიის ჩემპიონატის ახლანდელმა ლიდერმა „სტანდარდმა“ (ლიეჟი). ეს გუნდი ახლა კარგად ატარებს როგორც ეროვნული პირველობის მატჩებს, ისე საერთაშორისო შეხვედრებს, მაგრამ იმის ხარჯზე, რომ მის შემადგენლობაში არ არიან... ბელგიელები! ორი უკანასკნელი სეზონის განმავლობაში „სტანდარდში“ ითამაშა 22 უცხოელმა, რაც თავისთავად განუმეორებელი ამბავია. აი, ყველაზე ცნობილი უცხოელები: გალიჩი (იუგოსლავია), ნადი (უნგრეთი), პაცკე (გფრ).

„სტანდარდის“ ხელმძღვანელობას ესეც არასაკმარისად მიაჩნია და ახალი „მაშველი ძალების“ მოზიდვას აპირებს.

გულშემატკივართა აჯანყება

როდესაც მილანის „ინტერის“ პრეზიდენტი მორატი და მწვრთნელი ერერა გადადგნენ, ახალმა ხელმძღვანელობამ გულშემატკივრებს იტალიის ჩემპიონობის დაბრუნება აღუთქვა. მაგრამ გავიდა პირველი წრე და გუნდს ჩემპიონობისა არაფერი ეტყობა. პირიქით, იგი ზოგჯერ საკუთარ მინდორზეც კი მარცხდება, რაც ადრე თითქმის არ ხდებოდა.

მას შემდეგ, რაც „ინტერმა“ მილანში წააგო „იუვენტუსთან“ (1:2), გულშემატკივართა მოთმინების ფიალა აივსო. ტურინელებს მილანში უკვე 9 წელია არ მოუგიათ, ამიტომ 80 ათასმა მილანელმა დემონსტრაცია გამართა შეძახილებით: „ძირს ფრაიზოლი (კლუბის პრეზიდენტი) და ფონი (მწვრთნელი)“.

ამან სათანადო ნაყოფიც გამოიღო. მულტიმილიონერმა ფრაიზოლიმ, რომელიც ბევრი საფეიქრო ფაბრიკის პატრონია, განაცხადა, რომ სეზონის დამთავრებისთანავე გადადგება პრეზიდენტის პოსტიდან. ასეთივე აზრისაა მწვრთნელი — დოქტორი ფონი.

ახლა მილანელი გულშემატკივრები გაიძახიან, რომ ისევ მორატი და ერერა ერჩივნათ.

პირადშიც, გუნდურშიც...

სამგზის ოლიმპიური ჩემპიონის, ავსტრიელი ტონი ზაილერის მშობლიურ ქალაქ კიცბიუელში გაიმართა „ჰანენკამის“ 29-ე საერთაშორისო ტურნირი, რომელიც სამთო-მოთხილამურეთა მსოფლიო თასის გათამაშების პროგრამაშიც შედიოდა.

სწრაფდაშვების 3510-მეტრიან ტრასაზე (სიმაღლეთა სხვაობა 860 მ) ასპარეზობა გათამაშების ლიდერის, 30 წლის ავსტრიელი მოთხილამურე კ. შრანცის ახალი წარმატებით აღინიშნა. თავიდან გამარჯვებულად შვეიცარიელი დეტვილერი გამოაცხადეს, მაგრამ როცა ავსტრიელთა პროტესტის შემდეგ მსაჯებმა შედეგები გადასინჯეს, გამოირკვა, რომ შრანცს დეტვილერისთვის 1,39 წამი მოუგია. III და IV ადგილები გაიყვეს კორბინმა (ავსტრია) და დიუვიარმა (საფრანგეთი). გი პერია (საფრანგეთი) ფინიშთან მხოლოდ მეხუთე იყო. VI ადგილზე გავიდა ტონის ძმა — რუდი ზაილერი.

მეორე დღეს მოეწყო სპეციალური სლალომი. ორი ცდის ჯამში გაიმარჯვა ფრანგმა რუსელმა — 2.00,37. II ადგილზე გავიდა ჰუბერი (ავსტრია), რომელმაც რუსელთან სულ რაღაც 0,02 წამი წააგო. მესამე პრიზიორმა ჯოვანიოლიმ (შვეიცარია) 2.00,64 აჩვენა.

შრანცი აქ სამეულშიც ვერ მოხვდა, მაგრამ საერთო ჩათვლაში მაინც ლიდერობს.

ლიდერია ავსტრიელთა ნაკრებიც. გუნდურ ტურნირში საფრანგეთის კოლექტივი ჯერჯერობით არ ბრწყინავს, რასაც ნაკრებიდან გრენობლის ოლიმპიადის გმირის, თასის მარშანდელი მფლობელის ჟ.-კ. კილის წასვლით ხსნიან. კილიმ თასის წლევანდელ გათამაშებაში მონაწილეობაზე უარი სეზონის დაწყებამდე დიდი ხნით ადრე თქვა, შემდეგ კი საფრანგეთის სათხილამურო სპორტის ფედერაციას დაპირდა, წლეულსაც ვიასპარეზებო. მსოფლიო თასის გათამაშების 5 ეტაპი უკან დარჩა, კილი კი სარბიელზე არა და არ ჩანს. ამიტომ ფედერაციამ იგი ნაკრები გუნდიდან გამოიყვანა.

მეგობრის ხსოვნას

რედაქციებს ჰყავთ ჩუმი და უხილავი მუშაკები. ისინი რომ არა, ჟურნალ-გაზეთების გამოსვლა წარმოუდგენელი საქმეა. ერთ-ერთი ასეთი მუშაკი იყო გაზეთ „ლელოს“ თანამშრომელი ნუცა ხარებავა.

გაზეთი ღამის თევასაა დაჩვეული და რამდენი ღამე უთევია მას გაზეთისთვის, დაწყებული „გამარჯვებიდან“ და დამთავრებული „ლელოთი“.

მოულოდნელი და თავზარდამცემი იყო მისი სიკვდილი, სიკვდილი სიცოცხლით და იმედით სავსე ადამიანისა, რომელსაც ელოდები სამსახურში, რომელიც საოჯახო საქმეებზე გამოვიდა ქალაქში და შინ ველარ დაბრუნდა. გახდა სასტიკი, ბრმა შემთხვევის მსხვერპლი.

ნუცა, ჩვენი მშვიდი და ღიმილიანი მეგობარი, ჩვენი ერთგული, ენერგიული კოლეგა და ოჯახის დედა. ქალი, რომელმაც ვაჟკაცურად ზიდა ორი ვაჟის გაზრდის სიხარული და სიმძიმე და რომელიც სულ ახლახან გაიმართა წელში მათი დავაჟკაცების წყალობით, ასე უდროოდ დაიღუპა.

ნეკროლოგები ანკეტური მონაცემებით არის ხოლმე გადატვირთული. ჩვენ არ გვსურს ავუყვეთ იმ ცნობისმოყვარეთ, რომელთაც მხოლოდ ეს ანკეტური მონაცემები აინტერესებთ.

ნუცა ხარებავა იყო მოსწრებული დედა და თავდადებული მუშაკი. თბილისის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მისთვის მეორე ოჯახად იქცა რედაქცია. „ლელოს“ რედაქციისთვის, ქართველ ჟურნალისტთა საზოგადოებისთვის, ყველასთვის, ვისაც მასთან ჰქონია საქმიანი ურთიერთობა, დიდზე დიდი დანაკლისია ასეთი ერთგული ადამიანის დაკარგვა, დიდზე დიდია სინანული, მით უფრო, რომ მას საოცრად უყვარდა გაზეთის საქმე, სარედაქციო ფუსფუსი და სიახლეები. უყვარდა ის ადამიანები, რომლებიც მის გარშემო ტრიალებდნენ.

წლეულს მკაცრმა ზამთარმა მოიკიდა ფეხი, მაგრამ იები მაინც გამოჩნდა აქა-იქ. ნუცას უხაროდა ყვავილების გამოჩენა და ეჩქარებოდა ზამთრის გასვლა. მას ეშინოდა დიდთოვლობისა...

მისი ახლობლების, მეგობარ-ნაცნობებისთვის მუდამ ღია ჭრილობად დარჩება ტკივილი ნუცას ხსოვნისა.

„ლელოს“ თანამშრომლები.

უბრძოლველად გამარჯვებაც არ არის

ეს სურათი დღეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ახალგაზრდობის ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ წიგნშია გამოქვეყნებული. წიგნს ძალზე მრავლისმეტყველი სათაური აქვს: „უბრძოლველად გამარჯვებაც არ არის“. ბერლინში 1932 წლის 22 მაისს გადაღებულ ამ ფოტოზე გამოსახულია ცნობილი ავტომრბოლელი მანფრედ ფონ ბრაუხიჩი შეჯიბრების დაწყების წინ თავისი მანქანის საჭესთან. წიგნის ავტორიც სწორედ ის არის.

„პანორამას“ სააგენტო (გდრ) აცხადებს, რომ „ამ კაცის ისტორია — ესაა ოლიმპიური იდეებისადმი მიძღვნილი ცხოვრების ამბავი“.

მანფრედ ფონ ბრაუხიჩი ძველი თავად-აზნაურული ოჯახიდანაა წარმოშობილი. იგი პრუსიელი პოლკოვნიკის შვილია. მაგრამ თავისი დამოუკიდებელი ცხოვრების პირველივე ნაბიჯებიდან მან არ ისურვა წასულიყო წინაპრების გზით და ერთგულად ჩამდგარიყო კაიზერის სამსახურში. იგი ოცნებობდა გამხდარიყო სახელგანთქმული ავტომრბოლელი. თავისი ოცნების განხორციელებასთან მანფრედი ძალიან ახლოს იყო: 30-ან წლებში მან რამდენიმე რბოლა მოიგო. მაგრამ ომმა შეწყვიტა სპორტსმენის კარიერა.

ომის შემდეგ ბრაუხიჩი მიუნხენში დასახლდა. იგი დასავლეთგერმანელი სპორტული მოღვაწე გახდა. მან მტკიცედ და უჭოჭმანოდ დაუჭირა მხარი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სპორტსმენთა კონტაქტებს. ამისთვის ბრაუხიჩს ციხეში ამოაყოფინეს თავი — „ძირგამომთხრელი მოღვაწეობა“ დააბრალეს. როცა ბრალდება ბლეფი გამოდგა, ბრაუხიჩი გიჟად გამოაცხადეს.

მაგრამ მამაცმა სპორტსმენმა ბრძოლა არ შეწყვიტა. მან ჰპოვა თავისი სამშობლო მუშათა და გლეხთა პირველ გერმანულ სახელმწიფოში და ახლა გდრ-ის ოლიმპიური საზოგადოების პრეზიდენტად გვევლინება. ამ პოსტზე მანფრედ ფონ ბრაუხიჩი დიდ მუშაობას ეწევა გერმანელ ახალგაზრდობაში ოლიმპიური იდეების გასავრცელებლად. იგი დაუღალავად ამხილებს დასავლეთგერმანელ მოღვაწეებს, რომლებიც პიერ დე კუბერტენის იდეებისადმი მტრულ პოზიციაზე დგანან და სურთ ორი გერმანული სახელმწიფოს სპორტსმენთა შორის შუღლი დათესონ.

ბრაუხიჩის წიგნი — „უბრძოლველად გამარჯვებაც არ არის“ მილიტარიზმის, რევანშიზმის, დასავლეთგერმანული რეაქციის ყველა ძალის წინააღმდეგაა მიმართული — იგი თავისებურ ბრალდებას წარმოადგენს. ამ წიგნში ავტორი თავის ცხოვრებასა და შრომაზე მოგვითხრობს.

▲ სიდნეიში ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირის ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ მასპინძლები თ. როჩი და რ. ლეივერი. გაიმარჯვა როჩმა (6:4, 4:6, 9:7, 12:10) და ამით უიმბლდონის ტურნირში წაგების რევანში აიღო. ქალთა ფინალში მ. კორტმა (ავსტრალია) მოუგო რ. კაზალსს (აშშ) — 6:1, 6:2.

▲ მარიბორი. „ოქროს მელას“ პრიზზე აქ გამართულ სამთომოთხილამურე ქალთა საერთაშორისო შეჯიბრებაში უძლიერესი იყო ფორტნა (აშშ) — 1.44,9. ფრანგი ჟაკო მას 0,01 წამით ჩამორჩა. III ადგილზეა ლაფორგი (საფრანგეთი) — 1.44,95.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

თბილისის სპორტულ ბაზებზე

ხელბურთი. სპორტის სასახლე. 2-3 თებერვალი. საქართველოს პირველობა გოგონათა და ჭაბუკთა გუნდებს შორის. შეხვედრების დასაწყისი დილის 10 საათიდან. შესვლა თავისუფალია.

ИНДЕКС 66448

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14.

უე 03134